სამაგისტრო პროგრამა- ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე

სასწავლო კურსის დასახელება – დრამის პოეტიკა

ლექტორები: ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმისმაგისტრანტებისათვის

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი– 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

დრამის პოეტიკის კურსი წარმოადგენს ზოგადი და შედარებითი ლიტერატურულ-თეორიული კვლევების უმნიშვნელოვანეს საკითხს. დრამა, როგორც უძველესი სალიტერატურო გვარი, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების მთელ ისტორიას გასდევს და განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპებს ითვლის. დრამატული ჟანრების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ანტიკური, რენესანსული, ნეოკლასიკური, რომატიკული და სხვა ლიტერატურული ეპოქები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თანამედროვე დრამატული ჟანრები და მათი მოდიფიკაციები. დრამატული ჟანრების პარალელური განვითარება საშუალებას იძლევა, განვიხილოთ ისინი სხვადასხვა კულტურული კონტექსტების ფარგლებში შედარებითი ანალიზის პრინციპების მოშველიებით. დრამის პოეტიკა სრულად აირეკლავს ამ პროცესების წინააღმდეგობრივ ხასიათს. კურსი მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სამეცნიერო და მხატვრული ტექსტების გაცნობასა და ინტერპრეტაციას.

სასწავლო კურსის დასახელება – ლიტერატურული ჟანრის პოეტიკა. ჟანრული მოდელები და მოდიფიკაციები

ლექტორები: ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

კურსის მიზანია, ლიტერატურული ჟანრის შესწავლა და გააზრება, ერთი მხრივ, შიდალიტერატურული, ანუ შიდასტრუქტურული, მეორე მხრივ კი – გარელიტერატურული, ანუ ისტორიული, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული პროცესების დინამიკის კონტექსტში. დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტი აქტიურ წიაღსვლებს საჭიროებს ფილოსოფიის, ესთეტიკის, ლიტერატურის ისტორიისა და პოეტიკის სფეროებში, ანუ ჟანრის პოეტიკის კურსი ოპერირებს არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი, არამედ სხვა

ჰუმანიტარული მიმათულებებისათვის ნიშანდობლივი ცნებითი და ტერმინოლოგიური აპარატით. ჟანრის პოეტიკის კურსი საშუალებას აძლევს ფილოლოგიური პროფილის სტუდენტს, მიიღოს მართებული ინფორმაცია ლიტერატურულ ჟანრთა პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური შეფასების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შესახებ, გაერკვეს ცალკეულ ჟანრთა ბუნებისა და სტრუქტურის განვითარებისა და მოდიფიცირების სპეციკაფიკაში.

სასწავლო კურსის დასახელება – ქართული ლიტერატურათმცოდნეობა: მეთოდოლოგიები და პრაქტიკები

ლექტორები: ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმისპროგრამის მაგისტრანტებისათვის

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის განვითარება XIX საუკუნიდან იღებს დასაბამს და არერთ მნიშვნელოვან ეტაპს ითვლის. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ეტაპები, როდესაც ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, თავისი მეთოდოლოგიური პოზიციებითა და პრაქტიკული ანალიზის პრინციპებით ღირებულად ინტეგრირდებოდა ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობით პროცესში. რადარა მეთოდოლოგიები აღმოჩნდა მისაღები ან ხელმისაწვდომი ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის? როგორ ხორციელდებოდა მათი დანერგვა? რამდენად ადაპტირდებოდა ქართული მასალა დადგენილ მეთოდოლოგიურ მოდელებთან ? იყო თუ არა სიახლეების შეტანის მცდელობა ? აი, კითხვები, რომლებზეც შეეცდება პაუხის გაცემას აღნიშნული სალექციო კურსი და ამ თვალსაზრისით მიმოიხილავს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციის ძირითად ავტორებსა და ტექსტებს.

სასწავლო კურსის დასახელება – XX საუკუნის ლიტერატურულ - თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები

ლექტორები: ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის, აგრეთვე, ქართული ლიტერატურის პროგრამის მაგისტრანტებისათვის

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

სასწავლო კურსის მიზანია მე-20 საუკუნის დასავლური ლიტ ერატურულ-თეორიული სივრცის მასშტაბური მიმოხილვა. გასული ასწლეულის დასავლური ლიტერატურული სამყარო ლიტერატურულ-თეორიული მიმდინარეობების უპრეცედენტო სიუხვით გამოირჩეოდა. ლიტერატურის თეორიამ, რომელიც სერიოზულად დაინტერესდა მხატვრული ტექსტის მეცნიერული ანალიზის პრობლემით, ცხადად გამოკვეთა თავისი მიმართებები ისეთ მონათესავე ჰუმანიტარულ დისციპლინებთან, როგორიცაა ფილოსოფია, ესთეტიკა, ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია. ამგვარი თანამშრომლობის შედეგად აღმოცენდა არაერთი საინტერესო ინტერდისციპლინარულ ხასიათის ლიტერატურულ-თეორიული სკოლა, რომელმაც გზა გაუხსნა ტექსტის კვლევის მრავალპლანიანი მოდელების დამკვიდრებას.

სასწავლო კურსის დასახელება – თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობანი – მოდერნიზმიდან გლობალიზაციამდე

ლექტორები: ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

კურსის მიზანია, გააცნოს მაგისტრანტებს მე-20 საუკუნის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობები, რომლებმაც ზეგავლენა იქონია როგორც დასავლურ, ისე ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე. კურსის წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას ლიტერატურის თეორიის კურსისა, რომელიც მაგისტრანტების უდიდეს ნაწილს დაძლელი ექნება ბაკალავრიატის ეტაპზე. კურსის მოსმენის შედეგად მაგისტრანტები შეძლებენ გაამთლიანონ თანამედროვე ლიტერატურული პროცესების თეორიული საფუძვლები და მიზნები და, რაც არსებითია, ჩართონ ქართული ლიტერატურა ამ პროცესების წიაღში.

სასწავლო კურსის დასახელება – ქრონოტოპის თეორია

ლექტორები – ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 15 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

სასწავლო კურსის მიზანია, გააცნოს მაგისტრანტებს დროისა და სივრცის, ანუ ქრონოტოპის პრობლემა, როგორც თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა. დროისა და სივრცის კატეგორიათა განსაზღვრა და ანალიზი, რაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან აღელვებდათ ფილოსოფიური აზრის მესვეურთ, მე-20 საუკუნეში ლიტერატურის მკვლევართა ინტერესის არეალშიც მოექცა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირეულ პრობლემად მოგვევლინა. კურსი საშუალებას აძლევს ახალგაზრდას, ერთი მხრივ, გაერკვეს დროისა და სივრცის ანუ ქრონოტოპის პრობლების ლიტერატურულ ასპექტებში, ხოლო, მეორე მხრივ, მოახდინოს პრობლემის ფილოსოფიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის გამოცდილებისა და შედეგების შეჯერება.

სასწავლო კურსის დასახელება – ტექსტის კვლევის ინსტერდისციპლინარული და ინტერკულტურული მეთოდოლოგიები

ლექტორები – ირმა რატიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი/ **გაგა ლომიძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **სოლომონ ტაბუცაძე,** ასისტენტ-პროფესორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

კურსის შესწავლის წინაპირობა – წინაპირობის გარეშე

ანოტაცია

მე-20 საუკუნის. ლიტერატურის თეორიამ, რომელიც სერიოზულად დაინტერესდა მხატვრული ტექსტის მეცნიერული ანალიზის პრობლემით, ცხადად გამოკვეთა თავისი მიმართებები ისეთ მონათესავე ჰუმანიტარულ დისციპლინებთან, როგორიცაა ფილოსოფია, ესთეტიკა, ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, მათემატიკაც კი. ამგვარი თანამშრომლობის შედეგად აღმოცენდა არაერთი საინტერესო ინტერდისციპლინარულ ხასიათის ლიტერატურულ-თეორიული სკოლა, რომელმაც გზა გაუხსნა ტექსტის კვლევის მრავალპლანიანი კულტუროლოგიური მოდელების დამკვიდრებას. სალექციო კურსის მიზანია, აზიაროს მაგისტრანტები ტექსტის ანალიზის თანამედროვე პრიციპებს, რომლებიც კვლევის ინტერისციპლინარულ და ინტერკულტურულ მეთოდოლოგიებში ძევს.

საგნის დასახელება: პოეტიკა, რიტორიკა, სტილისტიკა

ლექტორი: თენგიზ კიკაჩეიშვილი, ფილოლოგიის მეციერებათა დოქტორი; ასოცირებული პროფესორი;

საგნის სტატუსი: ძირითადი სავალდებულო დისციპლინა. განკუთვნილია ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის.

ECTS საგანი 5 კრედიტიანია. ლექცია – 30 სთ., სემინარი – 15 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

პოეტიკის, რიტორიკისა და სტილისტიკის კურსის მიზანია: შეასწავლოს მაგსიტრანტს მხატვრული ტექსტის სტრუქტურის მრავალმხრივი, სპექტრული პოეტიკური ანალიზის პრინციპები; დააუფლოს რიტორიკის, როგორც ორატორული მჭევრმეტყველებითი ხელოვნების განსხვავებულ თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს; გააცნოს ტილისტიკის, როგორც მხატვრული მეტყველების ანალიზის თავისებურებანი.

სასწავლო კურსის დასახელება – ნარატოლოგია – თხრობის თეორია

ლექტორი – თენგიზ კიკაჩეიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის ;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

სასწავლო კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტს თხრობის განსხვავებული ტიპოლოგიური და სტრუქტურული სახეობანი ცალკეული მწერლის პოეტიკის პრინციპების დადგენის თვალსაზისით. გააცნობიეროს, რომ თხრობის ერთიან, მთლიან სისტემაშია ჩართული აგრეთვე პერსონაჟთა პირდაპირი მეტყველება – მონოლოგი და დიალოგი და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად დრამატული ჟანრის სიტყვიერი გამოსახვის ფორმებს წარმოადგენენ, თხრობით ჟანრებს მაინც სპეციფიკური ორგანული კომპონენტის მნიშვნელობით ერწყმიან და შეუცვლელ როლს თამაშობენ ზოგადად თხრობის სტრუქტურაში.

სასწავლო კურსის დასახელება – ავტოროლოგია

ლექტორი – რამაზ ჭილაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 15 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

კურსის მიზანია, გააცნოს მაგისტრანტებს ავტორის საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიები, მოახდინოს მხატვრული ლიტერატურული ტექსტისა და ავტორის (ნარატორის) ურთიერთმიმართების თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის პოზიციით გააზრება. აღნიშნული კურსის მოსმენით მაგისტრები გაეცნობიან ლიტერატურის თეორიის ერთ–ერთი რთული პრობლემის მეთოდოლოგიურად დასაბუთებულ ხედვას.

სასწავლო კურსის დასახელება – **შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (ლიტერატურული კომპარატივისტიკა)**

ლექტორი –რამაზ ჭილაია- ასოცირებული პროფესორი;

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის ;
ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი – 15 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;
კურსის შესწავლის წინაპირობა – სავალდებულოა, სტუდენტებს ბაკალავრიატში მოსმენილი ჰქონდეთ ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის შესავლისა და ლიტერატურის თეორიის კურსები.

ანოტაცია

კურსის მიზანია, ტექსტის შედარებითი ანალიზის პრინციპების გაცნობა; საერთოისტორიულ კონტექსტში მხატვრული-ლიტერატურული აზროვნების განვითარების ზოგადი კანონებისა და თანამედროვე "ცივილიზაციათა ინტეგრაციის" პროცესში "კულტურათაშორისი დიალოგის" მნიშვნელობის წარმოჩენა.

სასწავლო კურსის დასახელება – საგამომცემლო საქმე

ლექტორები – რამაზ ჭილაია, ასოცირებული პროფესორი (ლექცია); **სოლომონ ტაბუცაძე**, ასისტენტ-პროფესორი (სემინარი)

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 15 სთ., სამუშაო ჯგუფი– 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

კურსი სტუდენტს შეუქმნის ზოგად წარმოდგენას საგამომცემლო საქმეზე, სარედაქციო პროცესსა და მის სისტემაზე, კონცეფციებზე, პრინციპებსა და მიმართულებებზე. შეასწავლის ბეჭდვითი საქმის განვითარების მოკლე ისტორიას, საგამომცემლო პროცესის ტექნოლოგიას, წიგნის

დიზაინის საფუძვლებს, თანამშრომელთა ფუნქციებსა და ვალდებულებებს, ავტორსა და გამოცემლობას შორის ურთიერთობის სისტემას. მისცემს წარმოდგენას რედაქტირების სხვადასხვა სახეობაზე (ლიტერატურული, სამეცნიერო, სპეციალური, ტექნიკური, მხატვრული), კორექტურულ საქმიანობაზე და სხვა საგამომცემლო ოპერაციაზე; აგრეთვე საგამომცემლო საქმის სამართლებრივ საფუძვლებზე, საავტორი უფლებეზე, რეკლამაზე და საგამომცემლო საქმის მარკეტინგსა და მენეჯმენტზე.

სასწავლო კურსის დასახელება – ერთი მწერლის პოეტიკა

ლექტორი – თამარ ბარბაქაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – არჩევითი კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 15 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

გალაკტიონის პოეტიკის სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტს გააცნოს გალაკტიონის პირველი და მეორე სალექსო რეფორმების არსი, პოეტის ვერსიფიკაციის თავისებურებანი: მეტრი, რითმა, სტროფიკა – ძირითადი პარამეტრები – შეასწავლოს კონკრეტული ნიმუშების გაანალიზებების საფუძველზე, უჩვენოს პოეტის მიერ დამკვიდრებული სიახლენი ევროპული და ქართული ლექსის კონტექსტში კონკრეტული ტექსტუალური მასალის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე.

სასწავლო კურსის დასახელება – ქართული ლექსის პოეტიკა

ლექტორი – თამარ ბარბაქაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის, აგრეთვე, ქართული ლიტერატურის პროგრამის მაგისტრანტებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფი– 15 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

კურსის მიზანია, მაგისტრანტებს გააცნოს ქართული ლექსის ისტორიისა და თეორიის ძირითადი ასპექტები; კონკრეტული ლექსმცოდნეობითი ნაშრომების შესწავლის საფუძველზე, მაგისტრანტებმა შეისწავლონ ქართული ლექსის კვლევის ისტორია, მეთოდები. აგრეთვე, გაეცნონ ქართული ლექსის ადგილსა და მნიშვნელობას ევროპული და აღმოსავლური ლექსის კონტექსტში.

საგნის დასახელება: სამეცნიერო-ლიტერატურული წერის კულტურა

ლექტორი: ნანა ფრუიძე, ასოც. პროფესორი;

საგნის სტატუსი: არჩევითი დისციპლინა. განკუთვნილია
მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

EECTS საგანი 10 კრედიტიანია

ანოტაცია

პროფესიული წერის შესწავლის ძირითადი მიზანია, მაგისტრანტებს გამოუმუშაოს აზრის გასაგებად, ნათლად, არგუმენტირებულად ჩამოყალიბების, ანალიზის, დისკუსიის, სხვადასხვა სახის წერილობითი ნაშრომის მომზადებისა და წარდგენის უნარ-ჩვევები; შეაძლებინოს დარგობრივი ტერმინოლოგიის, შესიტყვებებისა და ფრაზეოლოგიის სტრუქტურულ მოდელებში გარკვევა. ასწავლოს, როგორ მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და სამეცნიერო სტილის ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინებით როგორ მოემზადონ საჯარო გამოსვლისთვის.

საგნის დასახელება: ტექსტოლოგია

ლექტორი: ნანა ფრუიძე, ასოც. პროფესორი;

საგნის სტატუსი: სავალდებულო დისციპლინა. განკუთვნილია მაგისტრატურის
სტუდენტებისთვის.

ECTS საგანი 5 კრედიტიანია (2 ლ+1 სჯ+3 დ.მ.=6 6.15=90 90+35=125)

ანოტაცია

ტექსტოლოგია ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომლის ძირითადი მიზანია მხატვრული ტექსტის სრულყოფილი შესწავლა და მომზადება აკადემიურად ან მეცნიერულად გამოსაცემად. ქართული მწერლობის ძეგლთა ტექსტის დადგენის და პუბლიკაციის გარდა, ტექსტოლოგიურ კვლევას საჭიროებს თანამედროვე ავტორთა ქმნილებებიც. მწერლის მემკვიდრეობა მკითხველს სწორედ ისე უნდა მიეწოდოს, როგორც ავტორმა შექმნა – რედაქტორ-გამომცემელთა, გადამწერთა თუ სხვა პირთა მიერ განხორციელებული შესწორებებისა და "შელამაზების" გარეშე. ამდენად, მეცნიერული, თეორიული ტექსტოლოგია წარმოადგენს ფილოლოგიური კვლევის საფუძველს.

საგნის დასახელება: პრაქტიკული ტექსტოლოგია

ლექტორი: ნანა ფრუიძე, ასოცირებული პროფესორი;

საგნის სტატუსი: სავალდებულო დისციპლინა. განკუთვნილია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

ECTS sაგანი 10 კრედიტიანია, იკითხება ორი სემესტრის მანძილზე
(თითოეულ სემესტრში 2ლ+1სჯ+4დ/მ=7 7.15=105 105+20=125)

ანოტაცია

ტექსტოლოგიის პრაქტიკული კურსის მიზანია, ვასწავლოთ მაგისტრანტს, კონკრეტულად როგორ მზადდება გამოსაცემად ტექსტი. კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება ძირითადი ტექსტის დადგენა, ვარიანტებისა და რედაქციების შეჯერება, ატრიბუციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, სხვადასხვა ტიპის საძიებლის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადება.

საგნის დასახელება: ტექსტის რედაქტირების მეთოდიკა და სტილისტიკა.

ლექტორი: ნანა ფრუიძე, ასოც. პროფესორი;

საგნის სტატუსი: სავალდებულო დისციპლინა. განკუთვნილია მაგისტრატურის განყოფილების სტუდენტებისთვის.

ECTS საგანი 5 კრედიტიანია (2 ლ+1 სჯ=3 3.15=45 45+80=125)

ანოტაცია

ტექსტის რედაქტირების მეთოდიკა და სტილისტიკა მიზნად ისახავს რედაქტირების, როგორც მეცნიერების ჩასახვის, განვითარებისა და პროფესიულ საქმიანობად ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის გადევნებას. კურსი წარმოგვიდგენს კლასიკოს რედაქტორთა, ცნობილ მწერალთა და მეცნიერთა გამოცდილებას; კურსის ფარგლებში გაანალიზებულია თანამედროვე სარედაქციო-საგამომცემლო საქმის თავისებურებები; პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებთან ერთად, საგანგებოდაა განხილული რედაქტორის მუშაობის ზოგადი პრინციპები სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთან მიმართებით (რომანი, მოთხრობა, დრამატული თხზულება). მიმოხილულია სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, საცნობარო, სასწავლო, მხატვრული, საბავშვო ლიტერატურის რედაქტირების საფუძვლები.

კურსი ემყარება როგორც აღიარებულ სპეციალისტთა კვლევის შედეგებს, ისე თანამედროვე გამომცემელთა გამოცდილებას.

სასწავლო კურსის დასახელება – წიგნის ბეჭდვის ისტორია და ტექნოლოგიები

ლექტორები: მაკა ელბაქიძე, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (ლექცია); ანა ლეთოდიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (სემინარი);

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის.

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

მოცემული სასწავლო კურსის მიზანია ისტორიულ ჭრილში გააცნოს სტუდენტებს წიგნის ბეჭდვის ისტორია და ტექნოლოგიები, რომლებიც საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული

აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის, ერთ-ერთ უმთავრეს თეორიულ საფუძვლად გვევლინება. ბუნებრივია, მსოფლიო წიგნის ბეჭდვის ისტორიის ფონზე სასწავლო კურსი, ძირითადად, ეფუძნება ქართულ მასალას, ვინაიდან პირველი ქართული წიგნის დასტამბვა, რომლის შემდეგაც სამ საუკუნეზე მეტი გავიდა, მრავლისმეტყველი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც ისტორიული განვითარების სპეციფიკური მძიმე პირობები ჰქონდა. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის ქრონოლოგიური შესწავლა გაუადვილებს სტუდენტებს არა მარტო თვალი მიადევნონ ქართული საგამომცემლო საქმის ევოლუციას, არამედ დაინახონ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის ისტორიული პერსპექტივა.

სასწავლო კურსის დასახელება – საგამომცემლო სახლები. მიზნები და სტრატეგიები

ლექტორი: მაკა ელბაქიძე, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

სასწავლო კურსის სტატუსი – სავალდებულო კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის;

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს მსოფლიოში ცნობილი საგამომცემლო სახლების შექმნისა და განვითარების ისტორია, მათი ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებანი, მიზნები და სტრატეგიები, რათა საგამომცემლო საქმის სფეროში მსოფლიოს წამყვანი ბრენდების გამოცდილების გათვალისწინებით სტუდენტს ჩამოუყალიბდეს მკაფიო წარმოდგენა თანამედროვე წიგნის ბაზრის პრინციპებისა და მოთხოვნილებების შესახებ. ბუნებრივია, სასწავლო კურსი არათუ ითვალისწინებს ქართული წიგნის ბიზსნესში დღეს არსებულ სიტუაციას, არამედ, ძირითადად, ორიენტირებულია ამ სფეროში არსებული ნოვაციებისა და პრობლემების გაშუქებაზე. შესაბამისად, აღნიშნულ სასწავლო კურსში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანამედროვე ქართული გამომცემლობების მუშაობის გაცნობასა და შეფასებას, რაც იმთავითვე გულისხმობს სემინარულ მუშაობაში ამ გამომცემლობათა წარმომადგენლების აქტიურ ჩართვას და მათთან ინტერაქტიურ დიალოგს.

საგნის დასახელება: რომანტიზმი და რეალიზმი. ევროპული და ქართული ლიტერატურული გამოცდილება

ლექტორები: **იუზა ევგენიძე**, ასოცირებული პროფესორი.; **ლადო მინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი;

საგნის სტატუსი: არჩევითი დისციპლინა, განკუთვნილია ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმისმაგისტრატურის სტუდენტებისთვის

E**CTS** საგანი 5 კრედიტიანია (2ლ+2ს+3დ/მ= 7 7.15=105 105+20=125)

ანოტაცია

სალექციო კურსი სტუდენტს უქმნის აკადემიურ წარმოდგენას რომანტიზმისა და რეალიზმის არსზე, მათ საფუძვლებზე, ნაირსახეობებსა და გამოვლენის ფორმებზე. მაგისტრანტები შეიმუშავებენ გამოკვეთილ პოზიციას ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მხატვრულ ინდივიდუალობასა და მათი თეორიული ინტერესების მიმართებაზე მსოფლიო ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების სივრცესთან.

საგნის დასახელება- მითის პოეტიკა

ლექტორი- ელენე გოგიაშვილი; ასისტენტ-პროფესორი

ECTS: 5 **კრედიტი**

საგნის სტატუსი- არჩევითი საგანი MA პროგრამებისთვის

ანოტაცია

სასწავლო კურსის მიზანია მითის ისტორიულ-გენეტიკურ მიმოხილვასა და კომპარატივისტულ ანალიზს ფოლკლორული მასალის საფუძველზე. საგანი ითვალისწინებს სხვადასხვა შინაარსის (ასტრალური, კოსმოგონიური, ანთროპოგონიური და ა. შ.) მითოლოგიური გადმოცემების შედარებით კვლევას ქართული და ანტიკური მითოლოგიის მაგალითზე, მითოსური ელემენტების მარკირებას ფოლკლორულ და ლიტერატურულ ტექსტებში, მხატვრული სტრუქტურებისა და მათი ცალკეული ელემენტების სახეცვლილებებზე დაკვირვებასა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკულად დამუშავებას

სასწავლო კურსის დასახელება – ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა

ლექტორი – ანა ხარანაული, ფილოლ. მიმართულების ასოც. პროფ.;

სასწავლო კურსის სტატუსი – არჩევითი კურსი "ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის" სამაგისტრო პროგრამისათვის.

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 35 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების თეორიულ ასპექტები (მის ისტორიას და თეორიებს ალექსანდრიული ფილოლოგიიდან მოყოლებული დღემდე) და რომელიმე ტექსტის გამოცემის მომზადების საფუძველზე პრაქტიკულად შეასწავლოს მათ ტექსტუალური კრიტიკის პრინციპები და მეთოდები.

სასწავლო კურსის დასახელება – ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში

ლექტორები: კახაბერ ლორია, პროფესორი

სასწავლო კურსის სტატუსი – არჩევითი კურსი, განკუთვნილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის პროგრამის მაგისტრანტებისათვის

ECTS - 5 კრედიტი, ლექცია – 30 სთ., სემინარი – 30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 65 სთ. სულ –125 სთ.;

ანოტაცია

სასწავლო კურსის მიზანია, გაცნო მაგისტრანტებს რომანისტიკის ჟანრობრივი თავისებურებანი, შეასწავლოს თანამედროვე ქართული რომანის ისტორია და წარმოუჩინოს მისი როლი და ფუნქცია მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში.